დასკვნა:**დ02.37220732**

თარიღი:**14/03/2022**

დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,სივრით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის“ კომისიამ, შეისწავლა და განიხილა მოქალაქე დავით ჟღენტის განცხადება ქ. ოზურგეთში ნოდარ დუმბაძის ქუჩაზე გარე განათების ფარების შეცვლის აუცილებლობის შესახებ. კომისიის სამუშაო ჯგუფმა ადგილზე გასვლით, შეისწავლა დავით ჟღენტის განცხადებაში მოცემული წინადადების განხორციელების მიზანშეწონილობა და დაადგინა:

1. ქ. ოზურგეთში, ნოდარ დუმბაძის ქუჩის დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ იქ ქუჩის მთელ პერიმეტრზე არის მოწყობილი გარე განათების ქსელი. თეთრი ფერის ე.წ ცივი ნათება და ღამის პერიოდში დაბალია ხილვადობა

2. კომისიის სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

ეთხოვოს ოზურგეთის მინუციპალიტეტის მერს, შესაბამის სამსახურებს დაავალოს კონკრეტული წინადადების და რეკომენდაციების მომზადება ნოდარ დუმბაძის ქუჩის პერიმეტრზე გარე განათების ქსელის შეცვლის მიზანშეწონილობის შესახებ და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი